

გმადლობ შენ, ქრისტე, ღმერთო ჩვენი, რამეთუ განმამღე ჩვენ კეთილთა შენთაგან; ნუ დამაკლებ ჩვენ ზეცისასა შენსა სასუფეველსა, არამედ, ვითარცა შორის მოწაფეთა შენთა მიხვედ, მაცხოვარ, და მშვიდობა მიჰმადლე მათ, ეგრეცა მოვედ ჩვენთანა და გვაცხოვნენ ჩვენ. ამინ.

ღირს არს ჭეშმარიტად, რათა გადიდებდეთ შენ, ღვთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ, ყოვლად-უბიწოდ და დედად ღვთისა ჩვენისა, უპატოსნესსა ქერუბიმთასა, და აღმატებით უზეცთაესსა სერაბიმთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყვისა ღვთისასა, მხოლოსა ღვთისმშობელსა გალობით გადიდებდეთ. დიდება, აწდა. უფალო შეგვიწყალებ (3-გზის) მეუფეო ზეცათაო გვაკურთხენ.

(მეუფეო ზეცათაოს ნაცვლად აღდგომიდან ამალლებამდე იკითხება ტროპარი):

"ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი" (3-გზის)

(ღირს არსის ნაცვლად აღდგომიდან ამალლებამდე იკითხება): "ანგელოზი ღაღადებს, მიმადლებულო წმიდაო ქალწულო, გიხაროდენ და კვალად გიხაროდენ. ძე შენი აღსდგა მესამესა დღესა საფლავით და მკვდარნი აღადგინა, ერნო, გიხაროდენ.

განათლდი, განათლდი, ახალო იერუსალიმ, დღეს დიდება უფლისა შენ ზედა გამობრწყინდა, განსცხრებოდე და იხარებდ სიონ, და შენცა იშვებდი, ღვთისმშობელო, აღდგომასა ძისა შენისასა".

[www.mrevli.ge](http://www.mrevli.ge)